ქართული მეცნიერების ჯაჭვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 303 (13995) | შაბათი, 30 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

1968 წლის ოქტომბერში აღინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოტო ვლ. გინზბურგის და მ. ყვირიკაშვილისა.

მხურვალე მილოცვა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მუშაკებსა და საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ყველა თანამშრომელს საბჭოთა დიპლომატიის ორმოცდაათი წლისთავს.

კომუნისტური პარტიისა და პირადად მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით 50 წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა ისტორიაში სრულიად ახალ სოციალისტურ დიპლომატიას და შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური აპარატი — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და დიპლომატიური წარმომადგენლობანი საზღვარგარეთ.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ წარმოშვა, საბჭოთა დიპლომატები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა და მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ, ერთგულად ემსახურებიან საბჭოთა ხალხს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიზმის სულისკვეთებით. მას საფუძვლად უდევს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ლენინური პრინციპები, ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობის, ყველა, როგორც დიდი, ისე პატარა, ერის მეგობრობისა და თანამშრომლობის პრინციპები. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია გადაჭრით ეწევიან ბრძოლას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, თანამიმდევრულად ახორციელებენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს და ამით ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, დიდი წვლილი შეაქვთ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვაში, მშრომელი მასების ბრძოლაში თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესწევთ უნარი ჩვენს დიპლომატიურ კადრებს შემოქმედებითად გამოიყენონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია პრაქტიკაში, დაეუფლონ სოციალისტური დიპლომატიის მდიდარ გამოცდილებასა და ხელოვნებას, რამდენად შესწევთ უნარი ღრმად გააანალიზონ საერთაშორისო ვითარება და გამოიტანონ სწორი დასკვნები.

საბჭოთა დიპლომატიის უმნიშვნელოვანესი ხადღეისო ამოცანებია შექმნას ხელსაყრელი პირობები კომუნიზმის მშენებლობისათვის სსრ კავშირში, ხელი შეუწყოს სოციალისტური სახელმწიფოების დიადი თანამეგობრობის შეკავშირებისა და ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას, მხარი დაუჭიროს ხალხებს, რომლებიც კოლონიური ჩაგვრის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, განავითაროს საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებთან, განამტკიცოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი და გააფართოოს ურთიერთხელსაყრელი კავშირ-ურთიერთობა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შორის. ამ პასუხსაგები ამოცანების შესრულება საბჭოთა დიპლომატებისაგან დაბეჯითებით მოითხოვს კიდევ უფრო აამაღლონ მთელი თავიანთი მუშაობის დონე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში საბჭოთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და საყოველთაო მშვიდობის დასაცავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა დიპლომატიური სამსახურის ორმოცდაათი წელი

საზეიმო კრება კრემლის ყრილობათა სასახლეში

მოსკოვი, 29 დეკემბერი. (საკადესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა დიპლომატიური სამსახურის 50 წლისთავს.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ნ. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ხ. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. გრიშინს, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, პარტიული, საბჭოთა . და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრებს, მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოსკოვის საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკებს.

დარბაზში იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მუშაკებისადმი წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. ნ. პონომარიოვმა.**

საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ.**

საბჭოთა დიპლომატიის მუშაკთა სახელით მომხსენებელმა მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა დიპლომატიურ სამსახურზე მუდმივი ზრუნვისათვის და მისი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

საბჭოთა ხალხმა, თქვა ა. ა. გრომიკომ, ახლახან იზეიმა დიდი ოქტომბერის 50-ე წლისთავი. ჩვენ ამ ბრწყინვალე თარიღს ვხვდებით ახალი, ბრძოლა-გამარჯვებებით აღსავსე ეტაპით, ეტაპით, ეტაპით,

საბჭოთა ხალხების დიადი თანამეგობრობა

საბჭოთა ხალხისადმი პარტიისა და მთავრობის სადღესასწაულო მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ ამოცანად ვისახავდით ბოლო მოგვეღო ეროვნული შუღლისა და ჩაბნრისათვის. და ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ამოცანა“. ეს შესაძლებელი გახდა ოქტომბრის გამარჯვების მეოხებით, რომელიც მოახწევდა უდიდეს მობრუნებას მსოფლიო ისტორიაში. ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა პირობები სოციალიზმის აშენებისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მრავალეროვან ქვეყანაში, ხელი შეუწყო ახალი სამყაროს — ინტერნაციონალისტების ნათელი სამყაროს დამდგებას.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის ყოფილი ეროვნული შუღლის მოსპობამ ცხადყო საზოგადოებრივი განვითარების ისეთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება, როგორიც არის ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის პროცესის დამოკიდებულება ღრმა რევოლუციურ გარდაქმნებზე, კლასების ანტაგონიზმის დაძლევაზე. ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ მშრომელთა საზოგადოებაში, სადაც არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები. ეროვნული საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების საგნებ ჩამოშორებული არიან ექსპლოატატორული კლასები, როცა ცხოვრების ბატონ-პატრონი ხდებიან მისი შემქმნელები — ისინი, ვინც ქმნის უველა მატერიალურ და სულიერ ფასეულობას.

ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მრავალეროვან სახელმწიფოში ეროვნული საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ თვითეული ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარების საფუძველზე. სხვადასხვა ფორმით აღმოცენდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. იმ დროს ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ „მსოფლიოს ომის მსგავსი არაფერი უნახავს, რაც ამჟამად ხდება ჩვენში, რუსეთში, ამ უზარმაზარ, მთელ რიგ ცალკე სახელმწიფოებად დაყოფილ ქვეყანაში, რომელიც მრავალი სხვადასხვა ეროვნებისა და ხალხისაგან შედგება“.

ოქტომბრის რევოლუციით შობილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ჯერ აღმოცენდა ხალხთა თანასწორობასა და ძმობაზე დაფუძნებული სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ასეთი პრაქტიკა ჯერ არ ენახა მსოფლიოს. 1920 წლის დეკემბერში დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება რსფს რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკას შორის, 1921 წლის მაისში რსფს რესპუბლიკასა და ბელორუსის სს რესპუბლიკას შორის. 1922 წლის მარტში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებმა ურთიერთშორის დადეს ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ.

ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კოლიბიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირის განვითარება მტკიცედ მოითხოვდა მათს უფრო მჭიდრო ერთიანობას. რთული იყო ამ ამოცანის გადაწყვეტის სწორი გზების ძიება. საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მჭიდრო სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისათვის გამაერთიანებელი მოძრაობა ადგილებზე დაიწყო საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ გაზაფხულზე და ზაფხულში უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც განიხილავდნენ რსფს რესპუბლიკასთან რესპუბლიკების უფრო მჭიდრო გაერთიანების გზებს, მიმართეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით გამოემუშავებინა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპები და ფორმები.

1922 წლის 6 ოქტომბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება მაშინ არსებული ოთხი საბჭოთა რესპუბლიკის (რსფსრ, უსსრ, ბსსრ, ამიერკავკასიის სფსრ) ერთიან სახელმწიფო კავშირად გაერთიანების შესახებ. საბჭოების ყრილობებმა, რომლებიც რესპუბლიკებში გაიმართა, აგრეთვე მხურვალედ დაუჭირეს მხარი ლენინის წინადადებას.

45 წლის წინათ, 1922 წლის 30 დეკემბერს, ოთხი საბჭოთა რესპუბლიკის (რსფსრ, უსსრ, ბსსრ და ამიერკავკასიის სფსრ) წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოხატავდნენ თავიანთი ხალხების ნებას, საბჭოების პირველ ყრილობაზე მიიღეს დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ხალხების საბჭოთა თანამეგობრობის განვითარების ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის დღე.

სსრ კავშირის შექმნა მოახწევებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითს განვითარებას.

მატერიალური და ადამიანთა რესურსების გაუერთიანებლად შეუძლებელია საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარების მიღწევა. სსრ კავშირის შექმნამ შესაძლებელი გახადა საერთოსახელმწიფოებრივი დაგეგმვის მოწყობა, ბიუჯეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადების ერთიანი სისტემის შექმნა. საჭირო იყო ძალებისა და სახსრების თავმოყრა ისეთი ობიექტების მშენებლობაზე, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ უველა ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირი ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის ქვეყანაა. რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის დიდი მონაპოვარია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურის საკითხის შემუშავება. ისინი ისე არიან აგებული, რომ მთლიანად ასახონ ჩვენი ქვეყნის არა მარტო უველა ეროვნების მშრომელთა საერთო საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, არამედ თვითეული ეროვნების სპეციალური საჭიროებები და მოთხოვნილებებიც. კავშირის საბჭოში დეპუტატებს ირჩევენ იმ ანგარიშით, რომ 300 ათას მცხოვრებზე ერთი დეპუტატი მოდიოდეს. ეს პრინციპი ეროვნებათა საბჭოს არჩევნებზე რომ გავრცელდეს, მაშინ არარუს ხალხთა წარმომადგენლობა პარლამენტში მცირე იქნებოდა. ეროვნებათა საბჭოში დეპუტატებს ირჩევენ მოსახლეობის რიცხვისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, რომლის მოსახლეობა 127,3 მილიონი კაცია, და ესტონეთი, სადაც 1,3 მილიონი მცხოვრებია, თანაბარი რაოდენობით ირჩევენ დეპუტატებს ეროვნებათა საბჭოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურები.

ოქტომბრით შობილმა სოციალისტურმა დემოკრატიამ შემადგენლობით მრავალეროვანი ხალხთა ფართო მასები ჩაბა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ფართო ასპარეზი გადაშალა ყველა ეროვნების მშრომელთა უნარის, ცოდნის, ნიჭის გამოყენებისათვის. ეროვნებები, რომლებმაც სახელწოდება მისცეს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ამჟამად სსრ კავშირის მოსახლეობის 26,3 პროცენტს შეადგენენ. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 1,3 პროცენტს შეადგენენ ერები და ეროვნებანი, რომელთა სახელმწიფოებრიობა ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების სახით არსებობს.

* * *

საკავშირო საბჭოთა მთავრობისათვის ერთნაირად ძვირფასია რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, უველა რესპუბლიკისა და ოლქის ხალხთა ინტერესები. ხალხთა თანამშრომლობის პუმანისტური პრინციპის განხორციელება სოციალისტური სახელმწიფოს ჩარჩოებში — ეს ნიშნავს, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, დახმარება უწევდე წინათ ჩამორჩენილ ხალხებს და აიყვანო ისინი განვითარებული ხალხების დონემდე. განსაზღვრავდა რა ხალხების საბჭოთა კავშირის ხელშეწყობითა და დახმარებით. ახლა ტაბაკაში (კაშხალის მშენებლობის ადგილი) მუშაობენ საბჭოთა გეოლოგები, ტომოგრაფები, ჰიდროლოგები. ისინი ამთავრებენ საძიებო სამუშაოებს, რომლებიც შექმნიან შესაძლებლობას ფართო ფრონტით გაშალონ მშენებლობა.

ტაბაკაში საბჭოთა კავშირიდან ყოველდღიურად მოდის მოწყობილობა, მექანიზმები და მანქანები. აქ უკვე მიიღეს 12 ათასი ტონა ტვირთი. მომავალი წლის პირველ კვარტალში მიიღებენ კიდევ 8 ათას ტონა ტვირთს. ამით არ შემოფარგლება მოსამზადებელი ღონისძიებანი. როგორც გაზეთები იუწყებიან, 27 დეკემბერს ხელი მოაწერეს დამატებითს კონტრაქტს, რომ ევფრატის მშენებლობაზე გაიგზავნოს კიდევ 320 საბჭოთა სპეციალისტი — ინჟინრები, ტექნიკოსები და სხვადასხვა პროფესიის მაღალკვალიფიციური მუშები. სირიამ 1968 წელს 3.500-მდე უნდა გაზარდოს სირიელ ინჟინერთა და მუშათა რიცხვი.

საქმიანი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტი შესრულება დიდ დახმარებას უწევს სირიელ ხალხს საკუთარი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში.

ზახეთში ჩვენი ქვეყნის მუშათა და მოსამსახურეთა ერთი მეოცედი ნაწილი მუშაობს. მაგრამ ყაზახეთი ქვეყანას აძლევს ქვანახშირისა და რკინის მადნის მოპოვების თითქმის მეათედ ნაწილს.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა საბჭოთა რესპუბლიკების სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობის დარგში. მარტო უზბეკეთი აწარმოებს მეტ ნედლ ბამბას, ვიდრე ბამბის მთესველი უველა სხვა რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის შაქრის ჭარხლის ნათესების სამი მეხუთედი განლაგებულია უკრაინაში, მატყლის შესყიდვის ერთ მესამედს სახელმწიფო ახორციელებს ყაზახეთსა და ყირგიზეთში. ბელორუსია კარტოფილის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელია, საქართველო — ჩაის, ყურძნისა და ხილისა, აზერბაიჯანი და მოლდავეთი — ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ა. შ.

რუსეთის სფს რესპუბლიკა იმუშავებს მთელი ელექტროენერგიის ორ მესამედს, იძლევა ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის რვა მეათედს და ქვანახშირის მოპოვების ნახევარს, თუჯისა და ფოლადის საერთოსაკავშირო გამოდნობის ნახევარს, ქიმიური მოწყობილობის ორ მესამედს, თევზის ჭერის თითქმის სამ მეოთხედს. სელის მთელი ნათესების ნახევარზე მეტი განლაგებულია რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

* * *

სოციალიზმმა აამოქმედა ჩვენი განვითარების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა, როგორიც არის ხალხთა მეგობრობა. იგი ჯერ კიდევ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში იშვა, მტკიცდებოდა ხუთწლედების შრომითს ყოველდღიურობაში, იწრთობოდა დიდი სამამული ომის ცეცხლში. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა ცხოვრების წესის განუყოფელი თვისებაა.

თავისი სახელოვანი ისტორიის ნახევარი საუკუნის მწვერვალზე საბჭოების ქვეყანა მსოფლიოს წინაშე წარმოსდგა როგორც თავისუფალი და თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების უშაგალითოდ მტკიცე სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კავშირი. რომელიც ჩამოყალიბდა სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლის პროცესში.

ნახევარი საუკუნე ბევრი როდია ისტორიის ეამთანმავლობაში. მაგრამ ამ მოკლე ვადაში ხალხთა სოციალისტური თანასწორობა ისტორიული რეალობა გახდა. შექმნილია ხალხთა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საფუძვლები, თანამეგობრობისა, რომელიც კაცობრიობის ერთ მესამედს მოიცავს.

საბჭოთა ადამიანებს დიდად ახარებს ის, რომ ჩაგრული ხალხებისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერების მოსაპოვებლად ყველა მებრძოლისათვის ნათელი იმედია საბჭოთა კავშირი — ოქტომბრის სამშობლო, მსოფლიოში პირველი ქვეყანა გამარჯვებული სოციალიზმისა.

გაივლის საუკუნეები. მაგრამ კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს იმათ, ვინც თავისი გონებითა და შრომით მსოფლიო ისტორიაში პირველად გაკვალა ფართო გზა ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისაკენ.

მ. ჯუნუსოვი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

საბჭოთა დიპლომატიური სამსახურის ორმოცდაათი წელი

(დასასრული)

რის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. იუბილეს დღეებში დედამიწის ყველა კონტინენტზე ზეიმით აღნიშნავდნენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის, ჩვენი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დღესასწაულს: მსოფლიო აჯამებდა იმ უდიდეს გარდაქმნებს, რომლებიც სახელმწიფოთა და ხალხთა ცხოვრების ყველა დარგში მოხდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და რომლებსაც დასაბამი მისცა 1917 წლის ოქტომბერმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს. გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე გაკეთდა, ღრმად მარქსისტულ-ლენინურად იყო გაანალიზებული ჩვენი სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობა 50 წლის მანძილზე. დახასიათებული იყო უმნიშვნელოვანესი ნიშნები ამ პოლიტიკისა, რომელიც გამომდინარეობს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების არსიდან.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა, განაგრძო მომხსენებელმა, სოციალისტური რევოლუციის პირველი, იგი იყო და არის ჩვენი რევოლუციური გარდაქმნების სამსახურში ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ინტერნაციონალურია, რადგან საბჭოთა ხალხის ინტერესები ემთხვევა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესს. იგი გამსჭვალულია მთელი მსოფლიოს რევოლუციურ პროგრესულ ძალებთან სოლიდარობის სულისკვეთებით და კლასობრივი ბრძოლის აქტიური ფაქტორია საერთაშორისო ასპარეზზე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი ღრმა და ნამდვილი დემოკრატიზმი, ყველა დიდი და პატარა ერის თანასწორუფლებიანობის ცნობა საქმით, რასებისა და ერებისებრივ თანასწორუფლებიანობის ცნობა. და ბოლოს, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი დამახასიათებელი ძირეული პრინციპული ნიშანი ის არის, რომ იგი ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და მეგობრობის თანამიმდევრული პოლიტიკაა. სოციალიზმის ერთადერთი მიზანია ზრუნვა ხალხის ინტერესებისათვის, რაც უწინარეს ყოვლისა გულისხმობს, ომთა ლისწინებს ბრძოლას ომის წინააღმდეგ.

ისტორიაში არ ყოფილა უფრო ბრწყინვალე და თავისი შედეგებით უფრო მნიშვნელოვანი გმირობა, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ლენინის კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით მოხდა ჩვენს კეკუანაში. ხალხი, რომელმაც შეისისხლხორცა სოციალიზმის იდეები და ფაიერაზმა ბოლშევიკური პარტიის გარშემო, რომელმაც ეს იდეები მოუტანა, ჭეშმარიტად სასწაულებს სჩადიოდა და გვიჩვენა, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია.

ვ. ი. ლენინის საგარეოპოლიტიკური საქმიანობა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, იყო და არის უბრწყინვალესი, თავისი მნიშვნელობით უბადლო ნიმუში პარტიულობისა და მაღალი პრინციპულობისა, უნარისა შეეფასებინა რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენები, დროზე გამოხმაურებოდა ცვლილებებს პირობებში, რომლებიც მოითხოვდნენ ტაქტიკის სწრაფად შეცვლას.

საბჭოთა დიპლომატია პარტიის პირმშოა. პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ამუშავებენ საგარეოპოლიტიკური საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას და ხელმძღვანელობენ მთელ ამ საქმიანობას.

საგარეოპოლიტიკური საკითხები ახლაც მუდამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დღის წესრიგშია, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ. ისინი ღრმად გაანალიზებულია პარტიული ყრილობების დოკუმენტებში. ამ საკითხების განხილვას ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმები. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა აზრებს საერთაშორისო მოვლენებისა და პრობლემების გამო უზიარებს სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებსა და მომძღვ სოციალისტური ქვეყნების მთავრობებს.

სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობის შექმნა, რომელიც სულ უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე შვიდი როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის დღე.

სსრ კავშირის შექმნა მოახწევებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითს განვითარებას.

მატერიალური და ადამიანთა რესურსების გაუერთიანებლად შეუძლებელია საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარების მიღწევა. სსრ კავშირის შექმნამ შესაძლებელი გახადა საერთოსახელმწიფოებრივი დაგეგმვის მოწყობა, ბიუჯეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადების ერთიანი სისტემის შექმნა. საჭირო იყო ძალებისა და სახსრების თავმოყრა ისეთი ობიექტების მშენებლობაზე, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ უველა ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში.

ლშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ხალხების საბჭოთა თანამეგობრობის განვითარების ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის დღე.

ა. ა. გრომიკომ შემდეგ თქვა, რომ საბჭოთა დიპლომატები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ გამაღლებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალიზმი ახევებს თავს ხალხებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ „აქტიური გაბედული ბრძოლით ხალხებს შეუძლიათ აიძულონ და კიდევაც უნდა აიძულონ იმპერიალისტები — გაიარაღდეს“.

საბჭოთა კავშირი მძლავრი მსოფლიო სახელმწიფოა, განაგრძო ა. ა. გრომიკომ. ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს მსოფლიოს 101 სახელმწიფოსთან. სახლეგარეთ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია 88 საელჩო და მისია. დიდია ჩვენი საერთაშორისო ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის მოცულობა. 110 სახელმწიფოს აქვს ჩვენთან კულტურული ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების გაძლიერების, მისი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის გაკეთების პროცესი განუწყვეტლივ გაიზრდება.

მომხსენებელი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ვიეტნამში შეერთებულმა შტატებმა ათეული მილიარდი დოლარი დახარჯეს, ომის ცეცხლში გაგზავნეს ასეულ ათასობით ჯარისკაცი, მაგრამ, მიუხედავად მთელი ბარბაროსობისა და მხეცობისა, რომელთა წინაშე ზოგჯერ ჰიტლერელთა დანაშაულებანიც კი არაფრად მოგეჩვენება, ყველაზე მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფოც კი ვერ შეძლებს გასტეხოს ვიეტნამელთა წინააღმდეგობა.

საბჭოთა კავშირი მთლიანად მებრძოლი ვიეტნამის მხარეზეა. იგი კვლავაც საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევს აგრესიის მოგერიებაში. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს, მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის ძლევამოსილად დამთავრდება.

ნახევარი წლის წინათ, განაგრძო მომხსენებელმა, იმპერიალიზმმა მკვეთრად გაამწვავა ვითარება ახლო აღმოსავლეთში. ისრაელი ექსტრემისტები, შეერთებული შტატების მხარდაჭერითა და წაქეზებით, ვერაგულად დაესხნენ თავს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, სირიასა და იორდანიას, ხელი იგდეს მათი ტერიტორიების ნაწილი.

არაბელმა სწორედ საბჭოთა კავშირს მიმართეს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რადგან ჩვენი ქვეყანა არაბების მეგობარია, ყველა იმ ხალხის მეგობარია, რომლებიც თავიანთ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას იცავენ, რადგან ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ჩვენი დიპლომატია მშვიდობის პოლიტიკა და დიპლომატიაა, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის, მათი იმ უფლების პოლიტიკა და დიპლომატიაა, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ, გარედან ჩაუერეველად აშენონ თავიანთი ცხოვრება.

თავისი მოხსენების დასასრულს ა. ა. გრომიკომ აღუთქვა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა დიპლომატიური მუშაკები გაამართლებენ პარტიის მაღალ ნდობას.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, რომელშიც განაცხადეს, **რომ კვლავაც ერთგული იქნებიან კომუნიზმის, შვიდობისა და დემოკრატიის იდეებისა.**

საბჭოთა ხალხების დიადი თანამეგობრობა

ეკონომიკურ

ეროვნული

ეროვნული

**ეროვნული

სახელოვანი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მეცნიერების სათავე

ნიკოლოზ მუსხელიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

1918 წელი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ამ წელს დაარსებულ იქნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც გააერთიანა ქართველ მეცნიერთა ძალები, რევოლუციამდე გაფანტული რომ იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, რადგან საქართველოში არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულებანი. ქართული მეცნიერების მთელი შემდგომი განვითარება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაც არსებითად მისი პირმშოა.

ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია.

ვამბობ „ჩვენი“ იმ აზრით, რომ თვითონ ვმუშაობ აკ 1920 წლიდან და უუნივერსიტეტოდ ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება მეცნიერებაში.

ვუსურვებ ჩვენს შეხვედრაზე უნივერსიტეტს შემდგომ აყვავებას, წარმატებებს სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

ჩემი, მეოგლიური

გიორგი ახვლედიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე საქართველოში ბევრ ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეს უოცნებია XIX საუკუნეშიც, მაგრამ მთელი ქართველი ხალხის სურვილი, უნივერსიტეტის შექმნის აუცილებლობა და შესაძლებლობა ჩვენში დამარწმუნებლად გამოთქვა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მთელ რიგ თავის საჯარო მოხსენებებში და სავანგებო თათბირებზე თბილისსა და ქუთაისში. მანვე, ჩვენი უნივერსიტეტის ფაქტურმა დამაარსებელმა, დარაზმა ქართველ მეცნიერთა ძალები ამ დიდი საქმისათვის.

დიდმა ოქტომბერმა, რომლის მხოლოდ შუქს მოეღწია მაშინ ჩვენამდე, თავისი ძლევამოსილებით განაპირობა ჩვენი უნივერსიტეტის შექმნა.

ცნობილია, თუ როგორი აღტაცებით შეხვდნენ ქართველი ხალხის ფართო წრეები ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ეა დღეს, თითქმის 50 წლის შემდეგ, ნათლად ჩანს, თუ როგორ გაამართლა მან ის იმედები, რომელსაც ამყარებდა მასზე ქართველი ხალხი...

ეს იყო **კულტურის** უდიდესი მონაპოვარი, რაც კი ოდესმე შეუძენია ქართველ ხალხს მთელი თავისი სახელოვანი ისტორიული ბრძოლისა და არსებობის მანძილზე. გარდა იმისა, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებათა საგანძურში, იგი და მის ნიადაგზე წარმოქმნილი სპეციალური ინსტიტუტები საფუძვლად დაედო სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღორძინებას ჩვენში. საქართველო რომ პროცენტულად ერთ-ერთ პირველ ადგილზეა უმაღლეს სწავლამიღებულთა მხრივ მსოფლიოში, ეს უმთავრესად ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურებაა. უნივერსიტეტის ნიადაგზეა აღმოცენებული ჩვენი მეცნიერების შტამბი, ჩვენი მეცნიერებათა აკადემია, რომლის ზრდისა და გაძლიერების მოწმენი ვართ.

ამას მოვესწარ...

ივანე გერიტაშვილი,

აკადემიკოსი.

საქართველოს უნივერსიტეტის 50 წლის თავზე ბევრი რამის თქმა შეიძლო, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მოვილოცავ ქართველ ხალხს იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტს საფუძველი ჩაეყარა; მივილოცავ, რომ ამ ბედნიერ დღეს და მალე მის შემდეგ სწავლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების თითქმის ყველა სფეროს სათავეში ჩაუდგნენ პედაგოგიისა და მეცნიერების კარგი ოსტატები, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ენერგიული ორგანიზატორები, ქართველი ხალხის უმაღლესი განათლების მოტრფიალენი, მათ შორის ქართველი ერის დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი და ცნობილი მეცნიერი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

აბა მაშინ, უნივერსიტეტის დაარსებისას, როგორ მოვიფიქრებდი, რომ მისი განვითარების მოწმე და მონაწილე ვიქნებოდი 50 წლის განმავლობაში, რომ ჩვენ მიერ შექმნილი უნივერსიტეტი სულ მოკლე ხანში ჩვენს ხალხს შესძენდა იმდენ სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით, რომ პროფესორებმა მათი რაოდენობა ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ბევრად უფრო მეტი გახდებოდა, ვიდრე იმ დასავლეთევროპულ სახელმწიფოებში, სადაც უნივერსიტეტები მრავალი საუკუნის განმავლობაშია არსებობენ.

საგულისხმო და საამაყოა ისიც, რომ თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების მიღწევებით, ლაბორატორიის სათანადო შეიარაღებით, ახალი აქტუალური პრობლემების დამუშავებით, მეცნიერულ შრომათა გამოქვეყნებით თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის მრავალ უნივერსიტეტთა შორის პირველ რიგშია და სასელი მოიხვეჭა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც.

ვუსურვებ ქართველ ხალხს, რომ მისი უნივერსიტეტი უფრო მეტი საყოფიერებით აწარმოებდეს თავის პედაგოგიურ და მეცნიერულ საქმიანობას მომავალში, ვიდრე დღემდე.

ერს გამარჯვება!

შალვა ნუცუბიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ მოწმე და მონაწილე ვხდები იმ უნივერსიტეტის ოქროს იუბილესა, რომლის ინიციატორთა და დამაარსებელთა რიცხვშიც ვთვლები.

ძნელი წარმოსადგენია საქართველოში ადამიანი, რომელიც არ იმკოდეს უნივერსიტეტის დიდი ღვაწლის ნაყოფს!

ჩვენ ერთი მუჭა მოწინავე ქართველი ინტელიგენტები, ბოლომდე მივუყვეთ საუნივერსიტეტო საქმის გამარჯვებას — უნივერსიტეტის დაარსებას. ამ გამარჯვებამ დაამტკიცა, რამდენად სწორად იყო შეფასებული უნივერსიტეტის საჭიროება ქართველი ხალხისათვის.

დღეს უნივერსიტეტის არჩვენე ერი კულტურულ ხალხთა შორის ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობს, საქართველოს უნივერსიტეტი კი თავისი არსებობის ორმოცდამეთე წელს წელში გამართული დგას როგორც ჩვენი კავშირის, ისე მსოფლიოს დიდ უნივერსიტეტთა შორის. ამის მაჩვენებელია ის ლტოლვა ჩვენი უნივერსიტეტისადმი საზღვარგარეთელი ახალგაზრდობისა, რომელიც აჭარბებს ჩვენს წინანდელ ლტოლვას მათი უნივერსიტეტებისადმი, თუ წინათ ვოცნებობდით უცხოური უნივერსიტეტების მუშაობაში მონაწილეობაზე, დღეს ჩვენი პროფესორების საგრძნობი ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველაზე დიდ უნივერსიტეტებთანაც კი, სადაც ახლნი კითხულობენ ლექციებს კურსს.

მადლობა პარტიასა და მთავრობას უნივერსიტეტისათვის ესოდენი ზრუნვისათვის!

ერს გამარჯვება!

სიცოცხლის ქარღვი

ივანე ჯავახიშვილი.

...რამდენი კარგი ოცნება ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, ულმობელი ბედისაგან დამსხვრეული... ვის შეეძლო იმ დროს დანამდვილებით ეთქვა, თუ როგორი მომავალი ეკნებოდა ამ ახლად დაარსებულ დაწესებულებას, ანდა რამდენად გამძლე და ცხოველმყოფელი ძალღონით აღსავსე გამოდგებოდა იგი. მაგრამ მაშინდელი სიხარულიცა და გაზვიადებაც მაინც გასაგები და ბუნებრივი იყო.

...მარტო ის გარემოებაც კი, რომ იმ უნივერსიტეტმა, რომელსაც სხვადასხვა მისან-მკითხავები და ქურუმები ზოგნი დღემოკლეობას და ზოგნი კიდევ სვე-უკულმართობასა და საქართველოს კულტურისათვის შავბედითობასაც უწინასწარმეტყველებდნენ, ამ ოცი წლის განმავლობაში არსებობაც მოახერხა და ზრდაცა და გაფართოებაც შესძლო, უკვე თავისთავად მისი სიცოცხლის უნარიანობის უცილობელი დამამტკიცებელი არ არის?

ამავე დროს ამ უნივერსიტეტიდგან გამოსული განათლებული პირების თვალსაჩინო რაოდენობაც რომ საქართველოს სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ასპარეზზე მუშაობს, ესეც ხომ ამ დაწესებულების, ვითარცა უმაღლესი სასწავლებლის, მთელი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური აღორძინებისა და აღმშენებლობისათვის მნიშვნელობასაც სრული სიცხადით ამჟღავნებს. მაგრამ მაინც ზემოაღნიშნულზე თუ მეტად არა, ქართული კულტურისათვის იმაზე არანაკლებ საყურადღებო და ძვირფასი ის გარემოებაცაა, რომ ამ უნივერსიტეტმა ამასთანავე თავის სწავლადამთავრებულ მსმენელთაგან ამ მოკლე დროის განმავლობაში ახალი სამეცნიერო დარგების კარგ მეცნიერ მკვლევართა მომზადებაც შესძლო, რომელთაგან ზოგი უკვე სამეცნიერო აკადემიური ხარისხის მქონებელია, პროფესორიც გახდა და თავის სპეციალობაში ღირსეულად საპატიო ადგილი უკავია.

დასასრულ, ამასაც ხომ უკვე ვერც ერთი სვინდისიერი კაცი ვერ უარჰყოფს, რომ უნივერსიტეტის დაარსებამ ქართული სამეცნიერო შემოქმედებისა და მწერლობის მკვდრეთით აღდგენასაც ხელი შეუწყო!

ეხლა კი ყოველი პირუთვნელი ადამიანი, რომელიც ზემოაღნიშნულ ყველა გარემოებას გაითვალისწინებს, უეჭველია დარწმუნდება, რომ 1918 წლის 26 იანვარი ქართული კულტურის ისტორიის მართლაც უმნიშვნელო თარიღი არ ყოფილა.

(1938 წლის 30 მაისი, გაზეთი „კომუნისტი“).

ჩვენი ქვეყნის საქეთილდღეოდ

აკაკი შანიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ქართველ ერის დიდი ხნის ნატვრა ასრულდა და მისი თენება სინამდვილედ იქცა ამ ნახევარი საუკუნის წინათ, როცა ქართული კულტურის ენთუზიასტთა მცირე ჯგუფმა დიდი ივანეს მეთაურობით განიზრახა და კიდევაც შეძლო დაარსებინა, მძიმეა და რთულ პირობებში, უმაღლესი განათლების კერა საქართველოში — ეროვნული უნივერსიტეტი, ჩვენი კულტურული აღორძინების აკვანი. ეს იყო დიდი შემოსაბრუნი ჩვენი ერის ისტორიული განვითარების გზაზე, რაც შესაძლებელი გახდა თვითმპყრობელობის მოსპობისა და ოქტომბრის მზის ამობრწყინების წყალობით.

თბილისის უნივერსიტეტი პირველი უმაღლესი სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც. თავდაპირველად იგი კერძო დაწესებულება იყო და ქართული სამეცნიერო საქმის გულშემატკივართა ქონებრივი დახმარებითა და იმედით არსებობდა. პირველად იგი ერთი ფაკულტეტისაგან შედგებოდა, მაგრამ თანდათანობით გაიზარდა და, სახელმწიფოსაგან ეკონომიურად წელგამაგრებული, ვეებერთელა მძლავრ დაწესებულებად იქცა, რომელიც ერთი მოწინავეთაგანია საბჭოთა კავშირში. ამ ხუთი ათეული წლის განმავლობაში იგი მთელი ძალღონით ერთგულად ემსახურებოდა სპეციალისტების აღზრდისა და ჩვენი ქვეყნის დაწინაურების საქმეს. იგი ისე მომძლავრდა, რომ შეძლო თავისი წიაღიდან წარმოეშვა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, საერთოდ ისე ფართოდ გაიშალა ჩვენში სამეცნიერო კვლევა-ძიება, რომ მომზადდა ნიადაგი მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთვისაც. რამდენიმე განთქმული მეცნიერი, ამ აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში აღიზარდნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ალია ვეკუა, პაატა გუგუშვილი, ვახტანგ ბერძე და სხვები, რომელთაგანაც ზოგი, სამწუხაროდ ადრე გამოგვაკლდა.

ცოტაა ქართველი ერის ისტორიაში ისეთი ბედნიერი და სახსოვარული დღეები, როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისას იყო. მე როგორც ამ უნივერსიტეტის დაარსების უახლოეს მონაწილეს და პროფესორთა საბჭოს უხუცეს წევრთაგანს, დიდად მახარებს ის დიადი მონაპოვარი, რაც უნივერსიტეტის მოღვაწეობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. მაგრამ მიღწეულით ხომ ვერ დავკმაყოფილდებით! ამ უნივერსიტეტმა კიდევ მეტი და მეტი უნდა გააკეთოს მომავალში, იგი მედროშედ უნდა დარჩეს ჩვენი ხალხის წინსვლის საქმეში, მან ათასობით და ათიათასობით უნდა აღზარდოს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეები.

ამიტომ სულით და გულით მივესალმები საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, რომ 1968 წლის ოქტომბერში აღინიშნოს თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავი. ამ მიზნით შექმნილია თავრობის საუბილეო კომიტეტი.

უნივერსიტეტის პროფესორებს, როგორც ძველ თაობასს, ისე მომდევნო და ახლისას, დიდი იმედი აქვთ ამ კომიტეტისა, რომელიც დახმარებას ახალ ღონისძიებათა უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის მშვიდობიანი შრომის პირობებში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ასე იზარდა, ასე ამაღლდა

⊙ **1918 წელს** დაარსებულ **თბილისის** **უნივერსიტეტში** 4 — სიბრძნისმეტყველების **ფაკულტეტი** **იყო.**

⊙ **პროფესორ-მასწავლებელთა** **პირველი** **შემადგენლობა** განისაზღვრებოდა 18 კაცით.

⊙ **პირველ** **წელს** **უნივერსიტეტს** **ჰყავდა** **500** **სტუდენტი.**

⊙ **ახლა** **უნივერსიტეტში** 15 **ფაკულტეტი** **დღის,** საღამოს დასწრებელი და დაუსწრებელი განყოფილებების 12.637 სტუდენტით. მათ ასწავლის 892 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა შორის 11 აკადემიკოსი, 71 მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი და 215 მეცნიერების კანდიდატი-დოცენტი.

⊙ **უნივერსიტეტის** **პირველი** **გამოშვება** **მოხდა** **1922** **წლის** გაზაფხულზე. ამ **წელს** **სიბრძნისმეტყველების** **ფაკულტეტი** **დამთავრა** 28 **პირმა,** **რომელთაგან** 25 **ვაჟი** **იყო,** 3 **ქალი.**

⊙ **უნივერსიტეტმა** **სამშობლოს** **მისცა** **თავისი** **კურსდამთავრებული** 40.000 **სპეციალისტი.** **მარტო** **მომავალი** **გამოშვებით** **უნივერსიტეტის** **კურსს** **დამთავრებს** 2.050 **კაცი.**

⊙ **პირველნდელი** ერთეული **კათედრებისა** **და** **კბინეტების** **ნაცვლად** **ამჟამად** **უნივერსიტეტს** **აქვს** 93 **კათედრა,** 8 **სამეცნიერო-საკვლევი** **ლაბორატორია,** **რომელთაგან** 4 **პრობლემური** **ხასიათისაა,** 100 **სასწავლო** **ლაბორატორია.**

სურათებზე: **თბილისის** **უნივერსიტეტის** **ვეტერანები,** **ცნობილი** **ქართველი** **მეცნიერები** (მარცხნიდან): **საქართველოს** **სსრ** **მეცნიერებათა** **აკადემიის** **აკადემიკოსები** **შ. ნუცუბიძე,** **ა. ჯანელიძე,** **გ. ახვლედიანი,** **აკადემიკოსი** **ნ. მუსხელიშვილი,** **საქართველოს** **სსრ** **მეცნიერებათა** **აკადემიის** **აკადემიკოსი** **ა. ჯავახიშვილი,** **აკადემიკოსი** **ი. გერიტაშვილი** **და** **საქართველოს** **სსრ** **მეცნიერებათა** **აკადემიის** **აკადემიკოსი** **ა. შანიძე;** **მარჯვნივ** **ზემოთ** — **ქიმიის** **ფაკულტეტის** III **კურსის** **სტუდენტები** **ნ. ამისულაშვილი,** **მ. ჭიქურაშვილი** **და** **ე. მუმლაძე** **ლაბორატორიული** **მეცადინეობის** **დროს;** **ქვემოთ** — **მექანიკა-მათემატიკის** **ფაკულტეტის** **უფროსი** **მასწავლებელი** **გ. კვირკველია** (**შუაში**) **და** V **კურსის** **სტუდენტები** **ვ. ნატრიაშვილი** (**მარცხნივ**) **და** **ლ. გახოკიძე** **ტელესკოპთან** **მუშაობის** **დროს.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეომართა მეგოგარი და დამრიგებელი

● გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ მეთხუთმეტეათასე ნომერი

გამოვიდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი უძველესი გაზეთის — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ მეთხუთმეტეათასე ნომერი. საგულისხმოა, რომ ეს ნომერი გამოდის ახალი 1968 წლის დამდეგს — გაისად ამიერკავკასიელ მეომართა საბრძოლო ბეჭდვითს ორგანოს ნახევარი საუკუნე უსრულდება.

პრესებმის თითქმის 50 წლის მანძილზე გაზეთმა ჯარებთან ერთად სახელოვანი გზა განვლო. ამ წლების განმავლობაში იგი იყო სარდლობისა და პოლიტიკური ორგანოების მებრძოლი თანაშემწე მეშმარიტი პატრიოტების, სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილებისა და გმირი დამცველების აღზრდაში. იგი მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვით თავის მკითხველებს უნერგავდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს და მისი მტრების სიძულვილს, აღაფრთოვანებდა მებრძოლებს და მეთაურებს საგმირო საქმეებისათვის, ზრდიდა თავიხი ხალხის, კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგულ მედგარ, მამაც და მარჯვე მეომრებს, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ შეესრულებინათ წმიდათაწმიდა მხედრული მოვალეობა— დაეცვათ ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესები.

„ლენინსკოე ზნამიას“ წინამორბედის — წითელარმიული გაზეთის „კრასნი ვოინის“ პირველი ნომერი 1918 წლის 8 ნოემბერს გამოვიდა ასტრახანში.

მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო პარტიის მგზნებარე ტრიბუნი სერგი მირონის-ძე კიროვი. გაზეთის გასაგებ და გულში ჩამწვდომ სიტყვებს მხურვალედ ეხმაურებოდნენ ჯარისკაცები. იგი გახდა წითელარმიელთა საუკეთესო მეგობარი და დამრიგებელი.

საბჭოთა მეომრებმა კავკასიაში ააფრიალეს ოქტომბრის დროშა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხების თხოვნით ლეგენდარული მე-11 არმიის მებრძოლებმა, რომლებსაც სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, ამიერკავკასიიდან განდევნეს მუსავატელების, დაშნაკებისა და მენშევიკების მოღალატე ხროვა.

გაზეთი „კრასნი ვოინი“ ყოველთვის არმიასთან იყო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა იგი კავკასიის განთავისუფლებულ რაიონებში პირველი ლეგალური საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ორგანო ხდებოდა. 1921 წელს ამ გაზეთის რედაქტორობდა დიმიტრი ფურმანოვი.

ახალ თაობას გადაეცა უმკნობი დიდებით მოსილი მე-11 არმიის დროშა. საბრძოლო დამსახურებათვის არმიას მიენიჭა წითელი დროშის ორდენი და დაერქვა კავკასიის წითელდროშოვანი არმია. შემდეგ კი მის საფუძველზე შეიქმნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი.

დიდი ხამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის ფრონტის მებრძოლებმა ცხადყვეს, რომ ღირსეულად განაგრძობენ იმ მებრძოლთა ტრადიციებს, რომლებიც გმირულად იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში.

გაზეთი, რომელსაც 1938 წელს „ბოეც რკკა“ ეწოდა, ყოველდღიურად განუმარტავდა პირად შემადგენლობას ომის კეთილშობილურ მიზნებს, სერიოზულ საფრთხეს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, ჰიტლერელ დამპყრობთა დანშაულებრივ გეგმებს, აღაფრთოვანებდა მეომრებს საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს, მისი ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

1948 წელს, თავისი 25 წლისთავის დღეს, „ბოეც რკკა“-ს ამიერკავკასიის ფრონტის პირადი შემადგენლობის სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში დამსახურებისათვის მიენიჭა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი.

ომისა და მშვიდობიანი საბრძოლო სწავლების წლებში გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ (1945 წლის 5 ნოემბრიდან ასე ეწოდა გაზეთს) დაუცხრომლად, ბოლშევიკური მგზნებარებით და ინიციატივით ასწავლიდა ჯარისკაცებს და ოფიცრებს თვალსაჩინოვით გაფრთხილებოდნენ და ემრავლებინათ სამხედრო ოლქის გმირული რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები. ახლა, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი 50 წლისთავის წინ იგი აშუქებს განვლილ საბრძოლო გზას.

გაზეთი პროპაგანდას უწევს პარტიის შთამაგონებელ და ხელმძღვანელ როლს ჩვენი ქვეყნისა და მისი შეიარაღებული ძალების მთელ ცხოვრებაში. იგი ფართოდ გვიჩვენებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავ შედეგებს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მზარჯ მეგობრობას, გვიამბობს თუ როგორ აყვავდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკები, თუ როგორ აღწევენ ხაბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახალ წარმატებებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელები.

ვუსურვოთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთს ახალი წარმატებები საპატიო და პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში! (საქდესი).

За нашу Советскую Родину!

Ленинское знамя

ГОД ИЗДАНИЯ 49-й

მეგობრობის ლრმა ფესვები

გვესაუბრება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის გენერალური მდივანი, პროფესორი რადუ ვოინია

ოცი წლის წინათ, 1947 წლის 30 დეკემბერს რუმინელმა ხალხმა მონარქია დაამხო და სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა. დასაბამი მიეცა სოციალისტურ მშენებლობას, რომლის გიგანტურმა ნაბიჯებმა რუმინეთი გადაქცია მოწინავე ინდუსტრიისა და განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ამ ისტორიულ დღესასწაულს რუმინელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური ბანაკი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. სწორედ ამ საზეიმო განწყობილებით იყო გამსჭვალული საღამო თბილისში, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მოაწყო და რომელიც მიეძღვნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების 20 წლისთავს.

საზეიმო საღამოზე შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრები, აქტივისტები, საწარმოთა წარმომადგენლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, სტუდენტები. შეკრებილთ სიტყვით მიმართა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის გენერალურმა მდივანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა რადუ ვოინიამ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა. მან ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე, რუმინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობაზე. მისი განვითარების შემდგომ გზებზე. გამგზავრების წინ პროფესორმა რადუ ვოინიამ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მიმართა წერილით, რომელშიც ლაპარაკობს ჩვენს რესპუბლიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ვფიქრობთ ეს წერილი ინტერესს მოკლებული არ იქნება გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

□

ი ი რას წერს პროფესორი რადუ ვოინია:

„მე ვესწრებოდი საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საღამოს, რომელიც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 20 წლისთავს მიეძღვნა და თუმცა არ მესმის ქართული ენა, ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო — გასაგები იყო გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც ვლინდებოდა გამოსულთა სიტყვებში. საღამოზე აღნიშნული იყო დემოკრატიული რევოლუციის მნიშვნელობა რუმინეთისათვის და ის ალმავლობა, რომელსაც რუმინეთი განიცდის. აღფრთოვანებული ვარ, რომ ჩემი ხალხის კეთილდღეობა ახარებს თქვენს ხალხს.

ათ დღეზე მეტია საქართველოში ვიმყოფები. ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო გავცნობოდი ქართველ მეცნიერთა მუშაობას და გაგაცნო მათთვის ჩემი კვლევის თემატიკა. ჩემი სპეციალობაა მექანიზმებისა და მანქანების თეორია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩემი მახასიათებელი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიზაციისა და მანქანათა ექსპლუატაციის ფაკულტეტის ლექციებზე ყოფნა. ეს საუბრები მეგობრული, საქმიანი იყო. ჩვენ ვლაპარაკობდით ისე, როგორც მეგობრები, რომლებსაც აკავშირებთ ახალი მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტის საერთო სურვილი. ამან კი საშუალება მომცა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ქართველი მეცნიერები თავის მოღვაწეობას მიმართავენ თანამედროვე პრობლემებისაკენ და ამ მიმართულებით გარკვეულ და დიდ შედეგებს მიაღწიეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ნ. მუხელიშვილთან და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორთან პროფესორ ი. ბუაჩიძესთან საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო თემებზე. ეს საუბრები მეგობრული, საქმიანი იყო. ჩვენ ვლაპარაკობდით ისე, როგორც მეგობრები, რომლებსაც აკავშირებთ ახალი მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტის საერთო სურვილი. ამან კი საშუალება მომცა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ქართველი მეცნიერები თავის მოღვაწეობას მიმართავენ თანამედროვე პრობლემებისაკენ და ამ მიმართულებით გარკვეულ და დიდ შედეგებს მიაღწიეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ნ. მუხელიშვილთან და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორ პროფესორ ი. ბუაჩიძესთან საუბარში დავსახეთ ახალი გზები უფრო მჭიდრო მეცნიერული კავშირისათვის საქართველოსა და რუმინეთის როგორც სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისათვის ისე პოლიტექნიკური ინსტიტუტებისთვისაც.

ამ ვრცელი და საინტერესო საუბრების შინაარსს გადავცემ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრს და იმედი მაქვს, რომ ამას მოჰყვება საქმიანი ურთიერთკავშირისა და მეგობრული ვიზიტების პრაქტიკული ნაბიჯები.

სამწუხაროდ საშუალება არ მქონდა ფართოდ გავცნობოდი საქართველოს მუზეუმებსა და ისტორიულ ძეგლებს. მაგრამ რაც ვნახე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, მოწმობს საქართველოს დიდ კულტურას.

განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მივიღე, როდესაც ვუსმენდი უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტებს, რომლებიც კარგად ლაპარაკობდნენ რუმინულად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენას მხოლოდ რამდენიმე თვე ეუფლებიან. სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ რუმინული ენისა და ლიტერატურის შესწავლისადმი. სიამოვნებით მოვისმინე დიდი რუმინელი პოეტის ემინესკუს ქართული თარგმანები.

საქართველოში ყოფნისას ვხვდებოდი არა მარტო მეცნიერებსა და სტუდენტებს, ცნობილ პიროვნებებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებსაც. ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებოდი მათს გულისხმიერებაში არა მარტო პირადად ჩემდამი, არამედ ჩემი სამშობლოსადმიც.

პირველად ვიყავი საქართველოში და ვფიქრობ არა უკანასკნელად. პირადი კონტაქტები, ხანმოკლე შეხვედრები, ნახული და განცდილი, ყველაფერი ეს აღმაფრთოვანებს. ყველგან ვხედავ გულწრფელ დამოკიდებულებასა და ინტერესს რუმინეთისადმი, მეგობრობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების სურვილს“.

■ ■ ■

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: ახალი საცხოვრებელი რაიონი — პაჟური რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში.

ფოტო აჯერპრეს-ხაკდესისა.

საახალწლო საჩუქრები

□ **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ** რაიონის რუხის კარიერის მუშა-მოსამსახურეებს ამ დღეებში გადაეცათ კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობა.

ბ. ალშიბაია.

□ **ᲐᲮᲐᲚᲘ** მაღაზია გაიხსნა ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში. მაღაზიაში ბლომად არის სასურსათო და სამრეწველო საქონელი. ამავე სოფელში გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

შ. ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ.

□ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (საკ. კორ.). ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ დღეებში ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა გაუგზავნეს ერთი ჩაის საშრობი ღუმელი და 4 ცალი როლერი. ყველა ეს მექანიზმი ბათუმური მარკისაა.

□ **ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲕᲨᲘᲐ** ბევრი ობიექტი ჩოროწყუს რაიონის სოფლებში. რაიონის მშრომელებმა ამ დღეებში ახალი საჩუქარი მიიღეს. დაბის ცენტრში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი კულტურის სახლის ახალი შენობა 750 მაყურებლისათვის.

ი. ᲜᲐᲛᲧᲔᲕᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

ფოტო ვ. გენგიურისა.

სიხარული — ბავშვებს

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ფუსფუსია ჩვენს ქალაქში. მაღაზიები ვეღარ იტევენ მყიდველებს. სადაც არის ჭრელაჭრელა ნათურებით მოირთვება ქუჩები და მოედნები, ბაღები და სკვერები. ყველას თავისებურად უხარია ახალი წლის მოსვლა — მუშას, რომელსაც წლის დავალება დიდი ხანია შესრულებული აქვს და ამ ბედნიერ დღეს, ვალმოხდილია; მეცნიერს, რომელმაც მშობელ ერს კიდევ ერთი აღმოჩენა აჩუქა; მეზღვაურს, რომელიც შორეული უცხოეთის ნავსადგურიდან მისაღოცე დეპეშას გამოუგზავნის ნათესავებსა და მეგობრებს.

ყველაზე უფრო კი ახალი წლის მოახლოება ბავშვებს - უხარიათ. ფართო თვალები იყურებიან ფანჯრებიდან — თოვლის ბაბუა ხომ არ მოაბიჯებს სადმე, საჩუქრებით სავსე ტომრის ტარება ხომ არ უჭირს, მოხმარება ხომ არ უნდა. სხვათა შორის, „ნაძვიელ“ ნაძვისხეს რომ არ მოუტანს, მაინცდამაინც გული არ სწყდებათ — ბავშვებს ხომ უყვართ ბუნება, ხის მოჭრა კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მათ აწუხებს.

ორიოდე სიტყვა ნაძვისხეზე და ბავშვებზე. ბოლო დროს რამდენი ბავშვიც ვნახე, ყველა სიხარულითა და სიყვარულით უტრიალებს გარს ჯერ კიდევ მოუთავა ნაძვისხეს. ეს გასაგებიც არის. უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისელი ოსტატები ისე დასელოვნდნენ ხელოვნური ნაძვების დამზადებაში, რომ კარჯად თუ არ დააკვირდი, ვერც კი გაარჩევ ბუნებრივისგან.

ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი გ. ხარაიძე ეწვია და ესაუბრა იმათ, ვინც ბავშვებისათვის ამ საახალწლო საჩუქრებს ამზადებს.

თბილისის სათამაშოების ფაბრიკამ და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ რამდენიმე წელია ამ სასარგებლო საქმეს მოჰკიდეს ხელი. მიმდინარე წელს სათამაშოების ფაბრიკამ დაამზადა თითქმის 14 ათასი ცალი, სოლო უსინათლოთა საზოგადოებამ 3 ათას ცალზე მეტი მეტრ-ნახევრიანი და 75-სანტიმეტრიანი ნაძვისხე. „ხეები“ ადვილად იშლება, რამდენიმე წელს ძლებს და ხანძრისა არ ეშინია. მისი შენახვა არცთუ ისე ძნელია — დაშლილ ხეს მცირე ადგილი უჭირავს.

შენიშვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ ერთი რამ: მიმდინარე წელს დამზადებული ხელოვნური ნაძვისხეების რაოდენობა, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს მომხმარებელს. ამიტომაც არის ბავშვთა საძყაროსა და სხვადასხვა საბავშვო სექციებში ასეთი დიდი რიგი ნაძვისხეებზე. რაშია საქმე, ნუთუ მეტი ხის დამზადება არ შეიძლებოდა? გამოირკვა, რომ პოლიეთილენის ნაძვების გამოშვება ამ ორმა ორგანიზაციამ ბოლო ორი თვის განმავლობაში დაიწყო. სხვა დროს კი მათთვის „არ ეცალათ“. ამ მოუცლელობასაც თავისი საპატიო მიზეზი აქვს — მზა ნაძვებს ზამთრის გარდა სხვა დროს არეცერთი მაღაზია არ იღებს იმ მოტივით, რომ შათი გაყიდვა ჭირს და საწყობებში ბევრ ადგილს იკავებსო. ამჯერად ჩვენ არ ვდავობთ, სწორია ეს თუ არა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ხელოვნური ნაძვისხე იმდენი უნდა დამზადდეს რამდენიც საჭიროა.

...კიდევ რამდენიმე დღე, და მხიარული თოხის ბაბუა ჩამოვიდის კარდაკარ, მოიტანს სიხარულს, საჩუქრებს, ბავშვები კი გარს შემოსხვევიან გაჩირაღდნებულ ნაძვებს და ქალაქს მოედება სიმღერა:

„ნაძვისხეო, ნაძვისხეო,
რა გაგვახარეო“.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗᲐᲗᲘᲗᲘᲡ

კრემლის ცისფერი ნაძვები

ᲣᲘᲜᲐᲕᲗ მოსკოვში. სიჩუმეა წითელ მოედანზე. თითქოს კურანტების საახალწლო რეკვას ელიანო, მიყურებულან ნაძვები კრემლის კედელთან. როდის და საიდან „მოვიდნენ“ ისინი აქ?

...1931 წლის ივნისში საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი მოსკოვის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ. ჩვენი დედაქალაქი ადგებოდა სოციალისტური რეკონსტრუქციის გზას. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და მდივანმა ა. ხ. ენუქიძემ კრემლში მიიწვია მაშინ ის-ის იყო შექმნილი მოსკოვის გამწვანების ტრესტის მმართველი გ. ი. ლებედევი.

— ენუქიძეს აინტერესებდა, თუ სპეციალისტებს როგორ ჰქონდათ გადაწყვეტილი წითელი მოედნის გამწვანება, — იგონებს გ. ი. ლებედევი. — მან რეკომენდაცია მოგვცა შეგვერჩია ისეთი ჯიშის ხეები, რომლებიც ჰარმონიულად შეეწყუმებოდნენ კრემლს და არ დაარღვევდნენ მის სილამაზეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტრესტში შეიკრიბა ინჟინერ-გამმწვანებელთა, მეტყევეთა, მებაღე-დეკორატორთა სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო. წინადადებას იძლეოდნენ სამხრეთიდან გამოეწერათ ურთხელი და ზაფხულში გამოედვათ ხოლმე ისინი კრემლის კედელთან. ლაპარაკობდნენ მუხაზეც, მაგრამ ზამთრობით ისინი კარგავენ თავიანთ მძლავრ იერს. შეჩერდნენ ცისფერ ნაძვზე.

ამ ნაძვის მოძებნა იკისრა ახალგაზრდა მებაღე ვალოდია ზვეისმა. მოსკოვის გარეუბნის ბევრი ხადგური, აგარაკი, პარკი, კარმიდამო შემოიარა თავის თანაშემწეებთან ერთად. და ბოლოს მიაგნო ცისფერი ნაძვების „მისამართს“ — ბიკოვო, უზლოვაია, ეფრემოვო... და 1931 წლის შემოდგომაზე პირველად გადმოსახლდნენ ცისფერი ნაძვები მოსკოვის გარეუბნიდან კრემლის კედლებთან.

მას შემდეგ ხარობენ ისინი აქ, ჩვენი ქვეყნის მთავარ მოედანზე. განსხვავება მხოლოდ ის არის,რომ მათი მწკრივი უფრო შემეჯიბრავდა. მებაღენი მზრუნველობით უვლიან ნაძვებს, ცვლიან ბებერ ხეებს.

ცისფერი ნაძვები უყვარდა ლენინს. ხეივანი გორკაში, სადაც ისინი იზრდებოდნენ, განსაკუთრებით მოსწონდა ვლადიმერ ილიასძეს. დღეს ცისფერი ნაძვები საპატიო ყარაულში დგანან მავზოლეუმთან, ვ. ი. ლენინის ძეგლთან, რომელიც კრემლში გაიხსნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ.

მოსკოვი. **დ. სმირნოვი.**

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა უძლიერესი კოლექტივების ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

კიდევ ერთი მატჩი გამართეს თბილისის დინამოელებმა ბაკოში ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 110:78. ახლა სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებიან კაუნასის „ჟალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები, რომლებსაც რვა-რვა ქულა აქვთ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა ელექტროსტალში დაამარცხა ნოვოსიბირსკის „დინამო“ 76:62 (36:31). სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშს“ 72:57.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ემზადება მომავალი პასუხსაგები შეხვედრისათვის. გუნდი განაგრძობს შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს საკლუბო კოლექტივებთან.

კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან პაექრობის შემდეგ სტუმრებს კიდევ ერთი მატჩი ჰქონდათ უკრაინის დედაქალაქში, ამჯერად ადგილობრივ „სტრო�ტელ თან“. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 98:64 (45:25).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲚᲘᲒᲐᲨᲘ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში 5 გუნდის მონაწილეობით. მათ შორის არის სსრ კავშირის კლუბების ნაკრები. პერუს ჩემპიონთან — „უნივერსიტეტ რიოსთან“ დამარცხების (1:3) შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები შეხვდნენ ამ ქვეყნის საკლუბო გუნდს — „ალიანცს“ და გაიმარჯვეს 2:1. მატჩი ჩეხოსლოვაკიის ოლომაიურ ნაკრებსა და პერუს „სპორტინგ კრისტალს“ შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 1:0.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი (ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები, აგრეთვე მესამე ადგილის განმსაზღვრელი თამაში) უნდა გაიმართოს ნახევარფინალისტთა ერთ-ერთ ქვეყანაში. ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა წინასწარ შეარჩია შესაძლო კანდიდატურები — იტალია, გფრ, ინგლისი. დღეისათვის მთავარ კანდიდატად რჩება. იტალია, თუ ამ ქვეყნის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ნაკრები საზღვარგარეთ ტურნეს შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ახალი სეზონისათვის, რომელიც მეტად პასუხსაგები იქნება, ჩვენი ფეხბურთელები მზადებას 22 იანვრიდან შეუდგებიან, თებერვალში კი გაემგზავრებიან მექსიკაში, სადაც 7 მატჩს გამართავენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამომ“ დაამთავრა ტურნე ლათინურ ამერიკაში. უკანასკნელი მატჩი დინამოელებს ჰქონდათ ეკვადორის ჩემპიონთან — „ბარსელონასთან“ და შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრეს.

ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲝᲒᲘᲗ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲡ კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური ნაკრები განაგრძობს ტურნეს საბჭოთა კავშირში. მორიგი მატჩი სტუმრებს ჰქონდათ სსრ კავშირის ჩემპიონთან — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა იგი დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით სამი ქულის სხვაობით — 78:75.

ამრიგად, საბჭოთა კავშირში გამართული ოთხი საერთაშორისო მატჩიდან იუგოსლავებმა მოიგეს ორი და ამდენივე წააგეს.

ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ

ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲘ საჭადრაკო ჩემპიონატზე გარდა ოქრის, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისა დაწერებული იყო სხვა პრიზებიც.

ყველაზე მეტი მოგებისთვის (8) პრიზი მოიპოვა გროსმაისტერმა ე. **ᲒᲐᲡᲘᲣᲚᲘᲜᲐ.** პირველ ხუთეტურში საუკეთესო შედეგისთვის ჯილდო გადაეცა ოსტატ ა. **ᲑᲣᲢᲜᲝᲠᲘᲡᲗᲡ.** ოსტატობის კანდიდატებისათვის დაწესებული პრიზი გროსმაისტერებთან შეხვედრებში უკეთესი შედეგისათვის ხვდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ა. **ᲘᲖᲕᲝᲜᲩᲘᲪᲙᲘᲡ.** ა. იზვოზჩიკოვს გადაეცა აგრეთვე მეორე პრიზი — ოსტატობის ნორმის უკეთ შესრულებისათვის.

გროსმაისტერებთან შეხვედრებში უკეთესი შედეგისათვის პრიზი გადაეცა ოსტატ **ი. ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲝᲕᲡ,** შეუპოვარი დაცვისათვის — გროსმაისტერ **ლ. ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡᲙᲘᲡ,** პარტიის საუკეთესო დებიუტანტისათვის — **მ. ᲨᲔᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ,** ენერგიული შეტევისათვის—**ე. ᲒᲐᲠᲘᲣᲚᲘᲜᲘᲡ,** უკეთესი საღებიუტო იდეისათვის — **ი. ᲚᲐᲑᲐᲠᲘᲡ,** ყველაზე საბრძოლო ყაიმისათვის — **მ. ᲗᲐᲚᲡ,** უკანასკნელ ხუთ ტურში უკეთესი შედეგისათვის — **ა. ᲩᲘᲪᲙᲘᲐᲜᲘᲡ.**

ᲰᲐᲡᲢᲘᲜᲒᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲨᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ქალაქ ჰასტინგსში დაიწყო რიცხვით 48-ე საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ეს ტურნირი მონაწილეთა რაოდენობით რეკორდულია—20 ქვეყნის 270 მოჭადრაკე. როგორც ყოველთვის, ახლაც მეტოქენი სიძლიერის მიხედვით დაყოფილი არიან „სხვადასხვა რანგებად“, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს მთავარი ტურნირი, სადაც საბჭოთა კავშირიდან გამოდიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ლ. ᲨᲐᲢᲘᲜᲘ და გროსმაისტერი ა. ᲡᲣᲢᲘᲜᲘ. ვაჟთა ერთ-ერთ ტურნირში მონაწილეობს აგრეთვე ბაკოელი საერთაშორისო ოსტატი **ᲔᲚᲔᲢᲘᲐᲜᲐ ᲖᲐᲢᲣᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ.**

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ გრონინგენში მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან შეჯიბრებაზე გამოდის 16 წლის ტულელი მოჭადრაკე ა. კარპოვი. ხამი ტურის შემდეგ მას 2,5 ქულა აქვს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბოლნისის რაიონის ცენტრი — დაბა ბოლნისი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ბოლნისის სადაბო საბჭო — ბოლნისის საქალაქო საბჭოდ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „თოჯინები იცინიან“, 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — მოსწავლეთათვის — საესტრადო-მუსიკალური სანახაობა (გადაცემა მოსკოვიდან), 17.15 — ბავშვებისათვის — ნახატი ფილმი „ექვსი ოვანე — ექვსი კაპიტანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — მოსწავლეთათვის — საახალწლო მილოცვები (კონცერტი დაკვეთით), 18.10 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მოგილოცავთ ახალ წელს“, 21.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — გადაცემათა პროგრამა 31 დეკემბრისათვის, 21.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — თეატრალური შეხვედრები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — სპორტული წლის შედეგები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ 11 ს., 15 ს.

31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ცეროდინა რაინდები“, 14.55 — გადაცემათა პროგრამა, 15.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — თვითმქმედი საესტრადო კოლექტივების კონცერტი, 17.20 — მოსწავლეთათვის — „თოვლის ბაბუა არიგებს საჩუქრებს“, 17.45 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალის „ოქროპირის“ საახალწლო გამოშვება, 18.30 — საიუბილეო წლის ქრონიკა, 19.00 — „წელი ჩვენი, საიუბილეო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „თქვენ გილოცავენ, ქართველი კინემატოგრაფისტები“, 21.15 — ახალი ამბები, 21.30 — „ახ